

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 9

კერძო ნაწილი

1. არაერთგზის ყალბი საანგარიშსწორებო ბარათისა და საგადასახადო დოკუმენტის დამზადება და გამოყენება
2. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება
3. ნარკოტიკული დანაშაული
 - განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა
 - დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, გასაღება (მცდელობა)
 - ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა ჩადენილი არაერთგზის
 - წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა

1. არაერთგზის ყალბი საანგარიშსწორებო ბარათისა და საგადასახადო დოკუმენტის დამზადება და გამოყენება

განჩინება

#610-აპ-09

12 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- ი. ტყემელაშვილი,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ო. ქ-შვილის დამცველი ადვოკატების -ა. ბ-ძისა და კ. წ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ო. ქ-შვილს ამჟამად პატიმარს, ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა თავის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

მასვე ბრალი დაედო არაერთგზის ყალბი საანგარიშსწორებო ბარათისა და საგადასახადო დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებაში, კერძოდ: საბრალდებო დასკვნით 2000 წლის 7 აპრილს ო. ქ-შვილმა სხვა პირებთან ერთად დააფუძნა შპს „ჯ-ი“, რომელიც აღრიცხვაზე აყვანილ იქნა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციაში. საზოგადოება 1 აგვისტოდან აღრიცხვაზე იმყოფებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში. 2006 წლის 6 სექტემბრიდან საზოგადოება რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად და მიღებული აქვს სერტიფიკატი. საზოგადოების დირექტორია ო. ქ-შვილი. „ჯ-ის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინჟინრო კვლევა-ძიება და მშენებლობა.

2006 წლის 3 ნოემბერს შპს „ჯ-ისა“ და სსიპ „ფ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, შპს „ჯ-იმ“ მოიპოვა უფლება, შეესრულებინა სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ჩრდილო-სამხრეთის ნავთობისა და გაზის მილსადენის გ-ას გადამკვეთი და დაზიანებული, კოროზიული ნაწილის 193-ე კმ-ზე. ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 1 444 917 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც უშუალოდ გ-ას გადამკვეთი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 1 006 306 აშშ დოლარს, რაც დაფინანსდა „ფ-ის“ მიერ და საქართველოსა და აშშ-ს მთავრობებს შორის შეთანხმების „ფ-ის“ მე-2 მუხლის 2.2გ ნაწილის შესაბამისად, აისახა საქართველოს ბიუჯეტში.

2006 წლის 4 ნოემბერს, შპს „ჯ-იმ“ ზემოხსენებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების მიზნით, ქვეკონტრაქტი გააფორმა შპს „დ-თან“, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელმა იკისრა ვალდებულება საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ჩრდილო-სამხრეთის ნავთობსადენისა და გაზსადენის გ-ას გადაკვეთაზე ჩაეტარებინა სარეაბილიტაციო სამუშაოები კონტრაქტორის მიერ გადაცემული საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი სტანდარტებისა და ნორმების, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის და გარემოს დაცვის მოთხოვნებისა და წესების გათვალისწინებით. ხელშეკრულებით განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოები და ღირებულება, რამაც შეადგინა 697 380 აშშ დოლარი.

აღნიშნული ქვეკონტრაქტის საფუძველზე შპს „დ-მა“ 2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის მაისამდე ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები: მიღების დაფარვა ბეტონის იზოლაციით და მათი ტრანსპორტირება სამუშაო მოედანზე, მიწის სამუშაოები და თხრილის გათხრა, მიღების თხრილში ჩაწყობა, მოსამზადებელი სამუშაოები ახალი მილის არსებულ მილთან მისაერთებლად, თხრილების გრუნტით შევსება, დამცავი კონსტრუქციით თხრილის მომზადება, მიწის ნაყარის ჩარეცხვის საწინააღმდეგო რკინა-ბეტონის ფილების ადგილზე ჩამოსხმა და დალაგება.

შპს „ჯ-ის“ დირექტორმა ო. ქ-შვილმა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ჩრდილო-სამხრეთის ნავთობსადენისა და გაზსადენის გ-ას გადაკვეთაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას განიზრახა, მიეთვისებინა დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი თანხები და ამ მიზნით დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს „დ-ის“ დირექტორს მ. რ-შვილს, შპს „ჯ-ის“ მშენებლობის მენეჯერს ა. ბ-შვილსა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის

მშენებლობის მენეჯერს ა. მ-ვს, რომლებსაც შეუთანხმდა, რომ გენერალური დამკვეთისათვის ეტაპობრივად წარდგენილ ინვოისებში, ინვოისის დანართებსა და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში ხელოვნურად გაეზარდათ შესრულებული სამუშაოების პროცენტული მაჩვენებლები და შესაბამისად -თანხები, ხოლო დამკვეთის მიერ ანგარიშსწორების შემდეგ დიდი ოდენობით მიეთვისებინათ სახელმწიფო თანხები.

2007 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით პერიოდში ქვეკონტრაქტის 213-ე პუნქტით გათვალისწინებული ტრანშეის ამოთხრის შედეგად, შპს „დ-ს“ უნდა ამოელო 3300 კუბური მეტრი გრუნტი. აღნიშნული სამუშაოს ეტაპობრივად ჩატარების დროს დანაშაულებრივი განზრახვით მოქმედი მ. რ-შვილი, შპს „ჯ-ის“ მშენებლობის მენეჯერი ა. ბ-შვილი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენელსა და მშენებლობის მენეჯერ ა. მ-ვს აბარებდნენ რა ქვეკონტრაქტის 213-ე პუნქტით გათვალისწინებულ ტრანშეის ამოთხრის სამუშაოებს, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში ხელოვნურად გაზარდეს სამუშაოების პროცენტული მაჩვენებლები და ნაცვლად ფაქტობრივად ამოთხრილი 2832 კუბური მეტრი გრუნტისა, შესრულებულად დააფიქსირეს: 2007 წლის 31 იანვრის მდგომარეობით -სამუშაოს 30%, იმავე წლის 28 თებერვლის მდგომარეობით -70%, ხოლო 31 მარტის მდგომარეობით -100%. შესაბამისად 3300 კუბური მეტრი და ფაქტობრივად ამოთხრილი გრუნტის ოდენობა მათ ხელოვნურად გაზარდეს 478 კუბური მეტრით. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს შპს „დ-ის“ მხრიდან ხელი მოაწერეს მ. რ-შვილმა, შპს „ჯ-ის“ მხრიდან -ა. ბ-შვილმა, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მხრიდან -ა. მ-ვმა. მიიღო რა აღნიშნული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, ო. ქ-შვილმა დაამზადა და „ფ-ს“ წარუდგინა ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურები და ინვოისები, რომლებსაც სხვა დოკუმენტებთან ერთად დაურთო ზემოხსენებული შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტები და ტრანშეის ამოთხრის შედეგად ფაქტიურად გამოიმუშავებული 29 036 აშშ დოლარის ნაცვლად მოითხოვა 33 835 აშშ დოლარის ანაზღაურება, რაც ჩაირიცხა შპს „ჯ-ის“ საბანკო ანგარიშზე, რის შემდეგაც მიითვისეს ზედმეტად ჩარიცხული თანხა.

2007 წლის მარტსა და აპრილში ქვეკონტრაქტის 223-ე პუნქტით გათვალისწინებულ გრუნტის სამუშაოების ჩატარების შედეგად შპს „დ-ს“ უნდა ჩაეყარა ტრანშეიში 6500 კუბური მეტრი გრუნტი. აღნიშნული სამუშაოს ეტაპობრივად ჩაბარების დროს დანაშაულებრივი განზრახვით მოქმედი მ. რ-შვილი და შპს „ჯ-ის“ მშენებლობის მენეჯერი ა. ბ-შვილი, მათთან ერთად დანაშაულებრივ კავშირში მყოფ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მშენებლობის მენეჯერ ა. მ-ვს აბარებდნენ რა ქვეკონტრაქტის 223-ე პუნქტით გათვალისწინებულ გრუნტის უკუჩაყრის სამუშაოებს, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში ხელოვნურად გაზარდეს სამუშაოების პროცენტული მაჩვენებლები და ფაქტობრივად ჩაყრილი 2832 კუბური მეტრი გრუნტისა, შესრულებულად დააფიქსირეს 2007 წლის მარტში -სამუშაოს 70%, ხოლო 11 მაისის მდგომარეობით -100%, ანუ 6500 კუბური მეტრი და ფაქტობრივად უკუჩაყრილი გრუნტის ოდენობა გაზარდეს 3668 კუბური მეტრით. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს შპს „დ-ის“ მხრიდან ხელი მოაწერეს მ. რ-შვილმა, შპს „ჯ-ის“ მხრიდან -ა. ბ-შვილმა, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან კი ა. მ-ვმა. მიიღო რა აღნიშნული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, ო. ქ-შვილმა დაამზადა და „ფ-ს“ გაუზავნა ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურები და ინვოისები, რომლებსაც სხვა დოკუმენტებთან ერთად დაურთო ზემოხსენებული შესრულებულ სამუშაოთა აქტები და გრუნტის უკუჩაყრით ფაქტიურად გამოიმუშავებული 29 037 აშშ დოლარის ნაცვლად მოითხოვა 66 646 აშშ დოლარი, რაც ჩაირიცხა შპს „ჯ-ის“ საბანკო ანგარიშზე, რის შემდეგაც ზედმეტად ჩარიცხული თანხა მიითვისეს.

2007 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით ქვეკონტრაქტის 312-ე პუნქტით გათვალისწინებულ მიწის ნაყარის ჩარეცხვის საწინააღმდეგოდ რკინა-ბეტონის ფილების სამუშაოების ჩატარების შედეგად, შპს „დ-ს“ უნდა მოეწყო ათასი კუბური მეტრი რკინა-ბეტონის ფილა. აღნიშნულ სამუშაოთა ეტაპობრივად ჩატარების დროს დანაშაულებრივი განზრახვით მოქმედი მ. რ-შვილი, შპს „ჯ-ის“ მშენებლობის მენეჯერი ა. ბ-შვილი, მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენელსა და მშენებლობის მენეჯერ ა. მ-ვს აბარებდნენ რა ქვეკონტრაქტის 312-ე პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაყარის ჩარეცხვის საწინააღმდეგოდ რკინა-ბეტონის ფილების სამუშაოებს, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში ხელოვნურად გაზარდეს მათი პროცენტული მაჩვენებლები და ფაქტობრივად შესრულებული 366 კუბური მეტრი რკინა-ბეტონის ფილისა, შესრულებულად დააფიქსირეს 2007 წლის 31 იანვრის მდგომარეობით -სამუშაოს 50%, იმავე წლის 28 თებერვლის მდგომარეობით -სამუშაოს 80%, 31 მარტის მდგომარეობით -90%, ხოლო 11 მაისის მდგომარეობით -100%, ანუ ათასი კუბური მეტრი და ფაქტობრივად მოწყობილი რკინაბეტონის ფილების ოდენობა ხელოვნურად გაზარდეს 634 კუბური მეტრით.

შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს „დ-ის“ მხრიდან ხელი მოაწერეს მ. რ-შვილმა, შპს „ჯ-ის“ მხრიდან - ა. ბ-შვილმა, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან - ა. მ-ვმა. მიიღო რა აღნიშნული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, ო. ქ-შვილმა დაამზადა და „ფ-ს“ გაუგზავნა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები და ინვოისები, რომლებსაც სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დაურთო ზემოთ აღნიშნული შესრულებულ სამუშაოთა აქტები და მიწის ნაყარის ჩარეცხვის საწინააღმდეგო რკინა-ბეტონის ფილების სამუშაოების ჩატარების ფაქტობრივად გამომუშავებული 79 744 აშშ დოლარის ნაცვლად მოითხოვა 217 881 აშშ დოლარი, რაც ჩაირიცხა შპს „ჯ-ის“ საბანკო ანგარიშზე, რის შემდეგაც ზედმეტად გადახდილი თანხა მიითვისეს.

2007 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით პერიოდში ქვეკონტრაქტის 402-ე პუნქტით გათვალისწინებული რკინა-ბეტონის ბლოკებისა და ფილების ტრანსპორტირების შედეგად, შპს „დ-ს“ უნდა გადაეზიდა 2000 ტონა რკინა-ბეტონის ფილები. აღნიშნული სამუშაოს ეტაპობრივად ჩაბარების დროს დანაშაულებრივი განზრახვით მოქმედი მ. რ-შვილი და შპს „ჯ-ის“ მშენებლობის მენეჯერი ა. ბ-შვილი, მათთან ერთად დანაშაულებრივ კავშირში მყოფ, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენელსა და მშენებლობის მენეჯერ ა. მ-ვს აბარებდნენ რა ქვეკონტრაქტის 402-ე პუნქტით გათვალისწინებულ რკინა-ბეტონის ბლოკებისა და ფილების ტრანსპორტირების სამუშაოს, მიუხედავად იმისა, რომ რკინა-ბეტონის ფილების ტრანსპორტირება არ მომხდარა, გადაზიდულად აჩვენეს 2007 წლის 31 იანვრის მდგომარეობით -სამუშაოს 50%, 28 თებერვლის მდგომარეობით -80%, 31 მარტის მდგომარეობით -90%, ხოლო 11 მაისის მდგომარეობით -100%, ანუ 2000 კუბური მეტრი. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს შპს „დ-ის“ მხრიდან ხელი მოაწერა მ. რ-შვილმა, შპს „ჯ-ის“ მხრიდან კი - ა. მ-ვმა. მიიღო რა აღნიშნული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, ო. ქ-შვილმა დაამზადა და „ფ-ს“ წარუდგინა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები და ინვოისები, რომლებსაც სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დაურთო ზემოაღნიშნული, შესრულებულ სამუშაოთა აქტები და ვითომდა გადაზიდული 2000 ტონა რკინა-ბეტონის ფილების ტრანსპორტირებისათვის, მოითხოვა 115 348 აშშ დოლარი, რაც ჩაირიცხა შპს „ჯ-ის“ საბანკო ანგარიშზე, რის შემდეგაც აღნიშნული თანხა მიითვისეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის განაჩენით ო. ქ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდებები და ამ ნაწილში გამართლდა.

ო. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2007 წლის 4 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ო. ქ-შვილის ადვოკატებმა. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრებით აპელანტები ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და ო. ქ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ო. ქ-შვილის ადვოკატებმა ა. ბ-მემ და კ. წ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

კასატორები ითხოვენ ო. ქ-შვილის გამართლებას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. ისინი აღნიშნავენ, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები და ინვოისები არ წარმოადგენს სსკ-ის 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტს, ამასთან, არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს განმტყუნებას, რომ ო. ქ-შვილის ქმედება არაერთგზისი დანაშაულია და არა -განგრობადი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ო. ქ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნების საფუძვლიანობა, მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის განაჩენი უცვლელად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ო. ქ-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა თბი-

ლისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის განაჩენით მისთვის შერაცხული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებები. მისი ბრალეულობა დადასტურებულია მოწმეების -ბ. ტ-შვილის, მ. ბ-შვილის, ა. მ-ვის, ფ. ჯ-ის, გ. ლ-ისა და თვით მსჯავრდებულ ო. ქ-შვილის ჩვენებებით, ასევე -საქმეზე მოპოვებული დოკუმენტებით, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებითა და ინვოისებით, შპს "დ-ის" მიერ 2007 წლის იანვარში, თებერვალში, მარტსა და აპრილში შედგენილი სასაქონლო ზედნადებებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული მტკიცებულებები წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც ბათილდება, ანდა ეჭვქვეშ დადგება მსჯავრდებულის მიმართ განაჩენით შერაცხული დანაშაული. საპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას ანგარიშ-ფაქტურებსა და ინვოისებთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ ისინი ცალსახად წარმოადგენენ საგადასახადო და საანგარიშსწორებო დოკუმენტებს. რაც შეეხება მათი გაყალბების ხერხს, პალატა განმარტავს, რომ ასეთი დოკუმენტების დამზადება შესაძლებელია მასში ყალბი მონაცემების შეტანის გზითაც.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს მსჯავრდებულ ო. ქ-შვილის ადვოკატების მოსაზრებას -თითქოს მას, რომც ჩაედინა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ეს იქნებოდა განგრძობადი და არა არაერთგზისი, ვინაიდან ქმედებები განხორციელდა ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი, განმარტავს რა განგრძობად დანაშაულს, აწესებს ორ პირობას, რომელთა ერთდროულად არსებობა აუცილებელია. იგი ასეთად რომ ჩაითვალოს, თავიდანვე უნდა არსებობდეს ერთიანი მიზანი და განზრახვაც საერთო უნდა იყოს. განგრძობადობა მაშინ არსებობს, როდესაც დანაშაულის ყველა ეპიზოდზე თავიდანვე მიღებულია ერთიანი გადაწყვეტილება, ყოველი მათგანის ჩადენის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ანუ ამ შემთხვევაში მიზნამდე მისასვლელი გზა წინასწარვეა განსაზღვრული და დაგეგმილი. მიზანი დაკავშირებულია შედეგთან (გარკვეული შედეგის მიღწევის სურვილთან), ხოლო განზრახვა, ობიექტური მხრივ -ქმედებასთან. არა აქვს მნიშვნელობა, დასახული მიზანი (ანუ მისაღწევი შედეგი) არის თუ არა დანაშაულებრივი. მთავარია, რომ თვით ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული.

მსჯავრდებულმა ო. ქ-შვილმა, რომელსაც, თავისავე განცხადების თანახმად, მიზნად ჰქონდა თავდაპირველი პროექტის შეცვლის შემდეგ სატენდერო წინადადების გადარჩენა და ხელშეკრულების გაუქმების თავიდან აცილება, მიზნის მისაღწევად განხორციელა დანაშაულებრივი ქმედებები, კერძოდ: 2007 წლის 7 თებერვალს შევსებულ იქნა ანგარიშ-ფაქტურა (5 თებერვალს შევსებული ინვოისისა და 31 იანვარს შევსებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე), რომელშიც განზრახ შეიტანა ყალბი მონაცემები და წარუდგინა დამკვეთს. მაგრამ იმის გამო, რომ ეს არ გახდა საკმარისი მიზნის მისაღწევად, მოგვიანებით მან კვლავ, განიზრახა განხორციელებინა მსგავსი ქმედება, რის გამოც, იმავე წლის 11 მაისს შედგენილი ანგარიშ-ფაქტურითა და იმავე დღეს შედგენილი და ხელმოწერილი ინვოისით, ასევე მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენის გზით, დამკვეთს მიაწოდა ყალბი ცნობა, რომ ზემოხსენებული სამუშაოები მთლიანად შესრულებულია.

საქმის მასალებით ცხადი ხდება, რომ ო. ქ-შვილს ყალბი ინფორმაციის შეტანა -სამეურნეო ოპერაციის მოცულობისა და მისაღები თანხის განსაზღვრა ერთდროულად არ განუზრახავს და ამას ვერც შეძლებდა, რამდენადაც, მისი განცხადებით, იგი თავად ეცნობოდა მიმდინარე სამუშაოების შესრულებას და არკვევდა რეალურ მდგომარეობას. ო. ქ-შვილს ფაქტობრივად განზრახვა იმდენჯერ წარმოეშვა, რამდენი დოკუმენტიც მან გააყალბა და გამოიყენა სხვადასხვა დროს. ამის გამო მისი ქმედებები ვერ ჩაითვლება განგრძობად დანაშაულად. როდესაც ერთი ქმედება არ აღმოჩნდა საკმარისი მიზნის მისაღწევად, მან განმეორებით მიმართა მსგავს ქმედებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის განაჩენი მსჯავრდებულ ო. ქ-შვილის მიმართ კანონიერი და დასაბუთებულია და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ო. ქ-შვილის მიმართ სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი განსაზღვრულია მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით და, ამდენად, არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

ადვოკატების -ა. ბ-მისა და კ. წ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის განაჩენი ო. ქ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

განჩინება

#440-აპ-10

28 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- პ. სილაგაძე,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების -ზ. რ-სა და ო. ს-ს, მსჯავრდებულ ვ. შ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჯ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის განაჩენით:

ვ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -5 წელი და ვ. შ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 13 მარტიდან, რომელშიც ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -2006 წლის 17 ივნისიდან 2006 წლის 20 ივნისამდე.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

გ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. გ. ხ-ს სასჯელის მოხდა უნდა დაეწყო დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის მოხდის საერთო ვადაში უნდა ჩაეთვალოს წინასწარი გამოძიებისას პატიმრობაში ყოფნის დრო -2009 წლის 13 მარტიდან 2009 წლის 26 მარტამდე.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

გ. ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -გირაო გაუქმდა. განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში ყადაღა უნდა მოეხსნას ი. ხ-ს კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარეს ქ. . . . , . . . ქ.#. . . . , ბ. . . . , სარეგისტრაციო ზონა - . . . , კოდი . . . , სექტორი . . . , კოდი . . . , კვარტალი #. . . , ნაკვეთი #. . . , კოდი #. . . და ექსპერტის დასკვნით შეადგენს 20 000 აშშ დოლარის შესაბამის ეკვივალენტს -32 400 ლარს, რომელიც დაყადაღებულია 15 000 ლარის ღირებულების ფარგლებში.

ი. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 13 მარტიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა -3000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ვ. შ-ი მუშაობდა რა სხვადასხვა სახის უცხოური ვალუტის გადაცვლაზე, მუდმივად სარგებლობდა სს „თიბისი“ ბანკის ... სერვის ცენტრ #1-ის მომსახურებით, სადაც გახსნილი ჰქონდა რამდენიმე პირადი ანგარიში. 2009 წლის 12 მარტს ვ. შ-ი დაუკავშირდა გ. ხ-ს, რომელიც იყო ასევე „თიბისი“ ბანკის კლიენტი და ჰქონდა გახსნილი პირადი ანგარიში. მათ გადაწყვიტეს, მიესაკუთრებინათ დიდი ოდენობით ფულადი თანხა და ასევე დაუკავშირდნენ სს „თიბისი“ ბანკის ... სერვის ცენტრის #1-ის მოლარე ი. გ-ს. 2009 წლის 12 მარტს, 16.14 წუთზე, სს „თიბისი“ ბანკის ... სერვის ცენტრის #1 სალაროში თანხის შეტანის გარეშე, ვ. შ-ს სახელით მოლარე ი. გ-ს მიერ გაკეთებული თანხის შეტანის დასტურით (ავტორიზაციით) გ. ხ-ს ანგარიშზე დაირიცხა სს „თიბისი“ ბანკის კუთვნილი თანხა -40 000 ევრო. ეს თანხა იმავე დღეს, 16.27 საათზე, გაიტანა სს „თიბისი“ ბანკის ... სერვის ცენტრ #2-დან გ. ხ-მ. აღნიშნული ქმედებით სს „თიბისი“ ბანკს მიადგა 40 000 ევროს დიდი ოდენობით ზარალი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ლ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ლ-სა და მსჯავრდებულ გ. ხ-ს შორის 2010 წლის 10 მარტს დადებული საპროცესო შეთანხმება.

გ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მან სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელის ნაწილი -1 წელი და ექვსი თვე უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო სასჯელის დანარჩენი ნაწილი -5 წელი, სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი.

გ. ხ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 5 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის საერთო ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -2009 წლის 13 მარტიდან 2009 წლის 26 მარტის ჩათვლით.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -გირაო გაუქმდა. განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში ყადაღა უნდა მოეხსნას ი. ხ-ს კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარეს ქ. ..., ... ქ.#..., ბ...., სარეგისტრაციო ზონა -..., კოდი ..., სექტორი ..., კოდი ..., კვარტალი #..., ნაკვეთი #..., კოდი #... და ექსპერტის დასკვნით შეადგენს 20 000 აშშ დოლარის შესაბამის ეკვივალენტს -32 400 ლარს, რომელიც დაყადაღებულია 15 000 ლარის ფარგლებში.

ვ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -5 წელი და ვ. შ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 13 მარტიდან, რომელშიც ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -2006 წლის 17 ივნისიდან 2006 წლის 20 ივნისამდე.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

ი. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 13 მარტიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა -3000 ლარი.

მსჯავრდებულ ი. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები -ზ. რ-ი და ო. ს-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და ი. გ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, აგებულია ვარაუდებზე.

მსჯავრდებულ ვ. შ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ჯ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ვ. შ-ს გამართლებას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო, საქმეში არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება, რომ ვ. შ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორების მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულების -ვ. შ-სა და ი. გ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ უსაფუძველობის გამო.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულ ჯ. მ-ს ჩვენებით, მოწმეების -მ. ხ-ს, თ. ჯ-ს, ი. კ-ს ჩვენებით, პირადი ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ნოვთმტკიცებად ცნობის დადგენილებით, "თიბისი" ბანკის ვიდეოთვალის მიერ გადაღებული მასალით, მსჯავრდებულთა ტელეფონებზე შემავალი და გამავალი ზარების ამონაწერებითა და სხვა მასალებით ვ. შ-სა და ი. გ-ს მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტობრივი გარემოებების ჩადენა დადასტურებულია.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, მსჯავრდებულ ი. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება არასწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით).

გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით, ვ. შ-ი და გ. ხ-ე დაუკავშირდნენ სს „თიბისი“ ბანკის ... სერვის ცენტრის #1-ის მოლარე ი. გ-ს. 2009 წლის 12 მარტს, 16.14 წუთზე, სს „თიბისი“ ბანკის ... სერვის ცენტრის #1 სალაროში თანხის შეტანის გარეშე, ვ. შ-ს სახელით მოლარე ი. გ-ს მიერ გაკეთებული თანხის შეტანის დასტურით (ავტორიზაციით) გ. ხ-ს ანგარიშზე დაირიცხა სს „თიბისი“ ბანკის კუთვნილი თანხა -40 000 ევრო.

საკასაციო პალატას მიაჩნია, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ვ. შ-სა და მ. ხ-ს დანაშაულებრივი კავშირი ი. გ-თან თაღლითობის ჩასადენად. მსჯავრდებული ვ. შ-ი უარყოფს წინასწარ შეთანხმებას ი. გ-თან დანაშაულის ჩასადენად, ხოლო გ. ხ-ე თავის ჩვენებში მიუთითებს, რომ საერთოდ არ იცნობს ი. გ-ს.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებული ი. გ-ი მუშაობდა რა სს „თიბისი“ ბანკის ... სერვის ცენტრის #1-ის მოლარედ, გააჩნდა სპეციალური სამსახურებრივი უფლებამოსილება. მან სს „თიბისი“ ბანკის ... სერვის ცენტრის #1 სალაროში თანხის შეტანის გარეშე, ვ. შ-ს სახელით, გააკეთა თანხის შეტანის დასტური (ავტორიზაცია) და გ. ხ-ს ანგარიშზე დაირიცხა სს „თიბისი“ ბანკის კუთვნილი თანხა -40 000 ევრო. ი. გ-მ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და არაკეთილსინდისიერად და არაგონივრულად განახორციელა მასზე დაკისრებული მოვალეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ი. გ-ს ქმედება შეიცავს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის ნიშნებს და უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 220-ე მუხლით, რის გამოც შესაბამისად უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულ ი. გ-ს სასიკეთოდ:

ი. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 220-ე მუხლზე და მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2009 წლის 13 მარტიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა -3000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ნარკოტიკული დანაშაული

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვა და გასაღება

განჩინება

#979-აპ-09

23 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. გ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. დ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის განაჩენით რ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად შეიძინა, ინახავდა და გაასაღა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. გ-ემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა 12 ე.წ. „ჩეკად“ დაფასოებული, 1,097 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ნივთიერება, რომელშიც სუფრა „ჰეროინის“ წონა შეადგენდა 0,46074 გრამს. აქედან 2008 წლის 4 დეკემბერს რ. გ-ემ გ. ნ-ესა და ნ. ც-ზე 600 ლარად გაასაღა ოთხ „ჩეკად“ დაფასოებული, 0,367 გრამი ნარკოტიკული საშუალება, რომელშიც „ჰეროინის“ წონა შეადგენდა 0,15414 გრამს.

დაკავებისას რ. გ-ეს ხელიდან გაუვარდა და ჩხრეკის დაწყებისთანავე ამოიღეს 600 ლარი, ხოლო პირადი ჩხრეკისას ჯინსის შარვლის მარჯვენა, წინა ჯიბიდან ამოიღეს რეგულარული ფურცელში რვა „ჩეკად“ დაფასოებული, მოთეთრო-მოყვითალო ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს 0,73 გრამ, კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველ ფხვნილს და მასში „ჰეროინის“ რაოდენობაა 0,3066 გრამი.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. გ-ეს მიესაჯა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 4 დეკემბრიდან. მასვე 5 წლით ჩამოერთვა მართვის უფლება, ხოლო "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული სხვა უფლებები -15 წლით.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელებს -ნ. ც-სა და გ. ნ-ეს შორის, რომლის თანახმად, გ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით და საბოლოოდ მიესაჯა ჯარიმა -5 ათასი ლარი და თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, საიდანაც 1 წელი უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 5 წელი ჩაეთვალია პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, მასვე ჯარიმის სახით დაეკისრა 20 ათასი ლარის გადახდა; ნ. ც-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 3 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 4 წელი ჩაეთვალია პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა -5

ათასი ლარი. გ. ნ-ესა და ნ. ც-ს 5 წლით ჩამოერთვით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ რ. გ-ის ადვოკატმა გ. დ-მა. მან ითხოვა რ. გ-ის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის შემცირება.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას აპელანტმა დააზუსტა საჩივრის მოთხოვნა და იშუამდგომლა რ. გ-ისათვის სასჯელის შემცირების შესახებ, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 ნოემბრის განაჩენით დაკმაყოფილდა და რ. გ-ეს მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -ადვოკატი გ. დ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულმა რ. გ-ემ გულწრფელად აღიარა ჩადენილი დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს, მისი პიროვნების გათვალისწინებით, შეეძლო სასჯელის მინიმუმამდე შემცირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი გ. დ-ი ითხოვს რ. გ-ისათვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ რ. გ-ის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება უტყუარადაა დადასტურებული, რასაც თავად მსჯავრდებულის არ უარყოფს, მაგრამ ამ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა საქმის მასალებით არ იკვეთება და არც საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარეობს. გარდა ამისა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს რ. გ-ის მიერ ნარკოტიკული დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა დადგენილად არ მიუჩნევა, რის მიუხედავად ორივე ინსტანციის სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში რ. გ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და საჩივრის მოტივების გაზიარების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ რ. გ-ის ბრალდების მოცულობის შემცირების გამო სასჯელი უნდა შემსუბუქდეს.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენი უნდა დაზუსტდეს ცალკეულ ნივთიერებათა ნაწილში, რომელთა საკითხი გადაწყვიტა პირველი ინსტანციის სასამართლომ, მაგრამ ეს სააპელაციო პალატის განაჩენში არ აისახა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. გ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ნოემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში რ. გ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

რ. გ-ის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მიესაჯოს 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ნივთმტკიცებები -გ. ნ-ისა და ნ. ც-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული, ორ-ორ, სულ ოთხ ე.წ. „ჩეკად“ დაფასოებული და „ჰეროინის“ შემცველი მოთეთრო-მოყვითალო ფხვნილი -განადგურდეს;

გ. ნ-ისა და ნ. ც-ისაგან ამოღებული „NOKIA-სა“ და „LG-ს“ ფირმის მობილური ტელეფონები და სიმბარათი -დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს ან მათი ნდობით აღჭურვილ პირებს. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემენა, შენახვა, გადაზიდვა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა

განჩინება

#818-აპ-09

7 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. გ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 აპრილის განაჩენით:

ა. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, მე-18, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით –უვადო თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით –10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით –უვადო თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. ა. ს-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 3 ოქტომბრიდან.

მასვე “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით –საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, ე. ს-ს სახელზე რეგისტრირებული, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ნოემბრის ბრძანებით დაყადაღებული, 1995 წელს გამოშვებული, ლურჯი ფერის სედანის ტიპის „მერსედეს-ბენც ე-220“ მარკის ავტომანქანა, ა. ს-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა –2500 ევროს ოდენობით და ა. ს-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა 205 აშშ დოლარისა და 25 ლარის ოდენობით უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ა. ს-ს მამის –ბ. ს-ს სახელზე რეგისტრირებულ საცხოვრებელ სახლს, მდებარეს ქ. ქუთაისში . . . , უნდა მოეხსნას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ნოემბრის ბრძანებით დადებული ყადაღა.

ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. შენგელიას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა ე. გ-სა და პროკურორ გ. შ-ს შორის 2009 წლის 24 აპრილს დადებული საპროცესო შეთანხმება.

ე. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, მე-18, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე –5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე –5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის გამოყენებით ე. გ-მ დანიშნული სასჯელიდან 5 წელს მოიხდის თავისუფლების აღკვეთით, ხოლო დანარჩენი 5 წელი ჩაეთვლება პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 3 ოქტომბრიდან.

მასვე “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით

-საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანო-ებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენის მიხედვით, ა. ს-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება; წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა; წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა; წინასწარი შეთანხმებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადება, რაც გამოიხატა შემდეგში:

ა. ს-მ, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, შემდგომში გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2008 წლის აგვისტოში ა. ს-მ უკანონოდ შეძენილი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით 0,2 გრამი, 150 ლარად უკანონოდ გაასაღა ქ. ქუთაისში, ...#... მცხოვრებლ. გ-ზე, რომელიც 2008 წლის 13 აგვისტოს დააკავეს სამართალდამცველებმა და გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მისგან ამოიღეს ა. ს-საგან უკანონოდ შეძენილი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

ა. ს- 2008 წლის სექტემბრის ბოლოს დანაშაულებრივად დაუკავშირდა რა ბაღდათის რაიონის სოფ. ...-ში თავის მეზობლად მცხოვრებ ე. გ-ს, ამ უკანასკნელთან ერთად და წინასწარი შეთანხმებით 2008 წლის 1 ოქტომბერს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის -"სარფის" გავლით გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ჩავიდა თურქეთის რესპუბლიკაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით 13,181 გრამი, გამოემგზავრა საქართველოში და 2008 წლის 3 ოქტომბერს, სასაზღვრო-გამშვები პუნქტის -„სარფის“ გავლით გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ჩავიდა ქალაქ ქუთაისში, მივიდა ...#...-ში მდებარე მამისეულ სახლში, სადაც ა. ს-მ ე. გ-ს გადასცა ზემოაღნიშნული ნარკოტიკული საშუალების ნაწილი, რომლის ნაწილი ე. გ-ს ა. ს-სათვის უკანვე უნდა დაებრუნებინა, ხოლო ნაწილი მოეხმარა შეხედულებისამებრ. ამით ა. ს-მ ფაქტობრივად შექმნა წინაპირობა ნარკოტიკული საშუალების შემდეგში გასაღების უზრუნველსაყოფად. ა. ს-ი ე. გ-სთან ერთად ჩაჯდა ავტომანქანა „მერსედეს-124“ ...სახელმწიფო ნომრის მქონე ტაქსში, რომელსაც ა. ს-ი უნდა მიეყვანა ... ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლში. გზად ავტომანქანის საწვავით მომარაგების მიზნით ... ქუჩის #...-ში მდებარე ბენზინგასამართ სადგურში მისვლისას ა. ს-ი და ე. გ-ე დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს მუშაკებმა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ა. ს-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი კ. გ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ა) ა. ს-ს დამნაშავედ ცნობას იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან აღიარა -პირადი ჩხრეკისას ამოღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა-გადაზიდვა, საქართველოში ამ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა და ამ ნაწილში სასჯელის შემსუბუქებას; ბ) ა/მანქანისა და თანხის ე. ს-სათვის დაბრუნებას. კასატორის განმარტებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; საქმეში არ მოიპოვება ა. ს-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება; ა. ს-ი ბრალდების დანარჩენ ნაწილშიც ცნობილ იქნა დამნაშავედ უტყუარი მტკიცებულებების არსებობის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულ ა. ს-ს ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ჩხრეკის ოქმებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ ა. ს-ს მიერ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და საქართველოში ამ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ა. ს-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ლ. გ-ზე 2008 წლის აგვისტოში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: საქმეში

ლ. გ-ს ჩვენების გარდა, არ მოიპოვება რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს ა. ს-ს მიერ ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" გასაღების ფაქტზე. ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის მითითებულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, ლ. გ-ს ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ა. ს-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს 2008 წლის აგვისტოში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გასაღების ეპიზოდი, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და, შესაბამისად, ამ მუხლით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ მსჯავრდებულ ა. ს-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს წინასწარი შეთანხმებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადების ფაქტი. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა იმაში, რომ ა. ს-მ და ე. გ-მ 2008 წლის 3 ოქტომბერს, სასაზღვრო-გამშვები პუნქტის - "სარფის" გავლით მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი 13,181 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინით" უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ჩავიდნენ ქალაქ ამით ა. ს-მ შექმნა წინაპირობა ნარკოტიკული საშუალების შემდეგში გასაღების უზრუნველსაყოფად. ხოლო პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ე. ს-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით ამ ეპიზოდში დაადგინეს ახალი ფაქტობრივი გარემოებები, რომ ა. ს-მ და ე. გ-მ 2008 წლის 3 ოქტომბერს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის - "სარფის" გავლით მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი 13,181 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინით" უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ჩავიდნენ ქალაქ მივიდნენ . . . # . . . -ში მდებარე სახლში, სადაც ა. ს-მ ე. გ-ს გადასცა ნარკოტიკული საშუალების ნაწილი, რომლის ნაწილი ე. გ-ს ა. ს-სათვის უკანვე უნდა დაებრუნებინა, ხოლო ნაწილი მოეხმარა შეხედულებისამებრ. ამით ა. ს-მ ფაქტობრივად შექმნა წინაპირობა ნარკოტიკული საშუალების შემდეგში გასაღების უზრუნველსაყოფად

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდების ამ ნაწილში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით ეწინააღმდეგება საბრალდებო დასკვნით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ს-ს მიერ სსკ-ის მე-18, 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა არ არის დადასტურებული და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან; საქმის მასალებში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები; როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულვებელყვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე ა. ს-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის მე-18, 260-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში, რის გამოც მსჯავრდებულ ა. ს-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს წინასწარი შეთანხმებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადების ეპიზოდი, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის მე-18, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

იმის მხედველობაში მიღებით, რომ მსჯავრდებულ ა. ს-ს მსჯავრდების ეპიზოდებიდან ამოერიცხა სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 18,260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ეპიზოდები, პალატა თვლის, რომ მას სასჯელის სახედ უნდა განესაზღვროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით -15 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით -17 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ა. ს-ს უნდა მიესაჯოს 32 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალებით, ასევე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებით არ არის დადგენილი, რომ მსჯავრდებულ ა. ს-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას ამოღებული თანხა -2500 ევრო, პირადი ჩხრევისას ამოღებული თანხა -205 აშშ დოლარი და 25 ლარი, ასევე გამოძიების მიერ ამოღებული, ე.

ს-ს სახელზე რეგისტრირებული ა/მანქანა "მერსედეს-ბენც ე-220", არის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული. საქმეში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ამიტომ მსჯავრდებულ ა. ს-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა -2500 ევრო, პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა -205 აშშ დოლარი და 25 ლარი, ასევე გამოძიების მიერ ამოღებული, ე. ს-ს სახელზე რეგისტრირებული ა/მანქანა "მერსედეს-ბენც ე-220", უნდა დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ ა. ს-ს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხოს 2008 წლის აგვისტოში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღების ეპიზოდი, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და, შესაბამისად, ამ მუხლით დანიშნული სასჯელი -10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ა. ს-ს განაჩენიდან ამოერიცხოს წინასწარი შეთანხმებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადების ეპიზოდი, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

მსჯავრდებულ ა. ს-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით -17 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ა. ს-ს მიესაჯოს 32 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვროს 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ა. ს-ს 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი, მსჯავრდებულ ა. ს-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა -2500 ევრო, პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა -205 აშშ დოლარი და 25 ლარი, ასევე გამოძიების მიერ ამოღებული, ე. ს-ს სახელზე რეგისტრირებული ა/მანქანა "მერსედეს-ბენც ე-220", სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

მსჯავრდებულ ა. ს-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა -2500 ევრო, პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა -205 აშშ დოლარი და 25 ლარი, ასევე გამოძიების მიერ ამოღებული, ე. ს-ს სახელზე რეგისტრირებული ა/მანქანა "მერსედეს-ბენც ე-220", დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა

განჩინება

#38-აპ-10

27 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. თ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 სექტემბრის განაჩენით ა. თ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით -8 წლით, 236-ე მუხლის I ნაწილით -1 წლითა და 6 თვით, 236-ე მუხლის II ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განაჩენით ა. თ-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წელი, 9 თვე, 21 დღე და ა. თ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 18 წლით, 3 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა.

ა. თ-ს “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 4 აპრილიდან.

გასაჩივრებული განაჩენით ა. თ-ს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონოდ შეძენა, შენახვასა და გადაზიდვაში. მასვე მსჯავრი დაედო ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონოდ შეძენა, შენახვასა და ტარებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ა. თ-მა 2009 წლის მარტში განიზრახა, კასპის რაიონის მოსაზღვრე სოფლებში მართლსაწინააღმდეგოდ შეეძინა ნარკოტიკული საშუალება, რაც სისრულეში მოიყვანა იმავე თვის ბოლო რიცხვებში. მან მოახერხა კასპის რაიონის სოფელ ჭ-ის მოსაზღვრე სოფლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა, სადაც დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება “ჰეროინის” შემცველი ფხვნილი, რომელიც გადმოზიდა კასპის რაიონის სოფ. ი-მდე. ა. თ-მა ასევე მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ასაფეთქებელი მოწყობილობა “ფ-1” ტიპის ხელყუმბარა. 2009 წლის 4 აპრილს ა. თ-ი დააკავეს კასპის რაიონის სოფელ ი-ში. პოლიციის მუშაკებმა ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ზემოხსენებული ხელყუმბარა და 0,083 გრამი ნარკოტიკული საშუალება “ჰეროინი”.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. თ-მა, რომელმაც ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. თ-მა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი აღნიშნავს, რომ იგი უდანაშაულოა და ითხოვს უკანონო განაჩენის გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების -მ. წ-ის, ა. გ-ის, ბ. ხ-ის ჩვენებებით, ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ბალისტიკური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით ა. თ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის გარდა, დადასტურებულია.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთები მას არ ეკუთვნოდა და მიაჩნია, რომ იგი მოგონილია პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად.

ა. თ-ის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით -ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის ნაწილში -საქმის მასალებით არ დასტურდება.

განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ შს სამინისტროს ი-ის რაიონული განყოფილების უბნის ინსპექტორის -ა. გ-ის ჩვენებებს, რომლის თანახმადაც, პოლიციის განყოფილებაში მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია, რომ ა. თ-ს შესაძლოა გადმოეზიდა ნარკოტიკული საშუალება და ასაფეთქებელი მოწყობილობა ოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, რის შემდეგაც მოხდა მისი დაკავება და ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოწმე ა. გ-ის ჩვენება ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის ნაწილში, რომელიც ემყარება მხოლოდ პოლიციის განყოფილებაში მიღებულ ოპერატიულ ინფორმაციას, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ მსჯავრდებული ა. თ-ი მსჯავრდების ამ ეპიზოდში დამნაშავედ იქნეს ცნობილი. სისხლის სამართლის საქმის მასალებში ბრალდების ამ ეპიზოდთან მიმართებით არ მოიპოვება სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მოწმის აღნიშნული ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც რაიონულმა და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის ნაწილში.

საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვისას დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, "ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ".

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ა. თ-მა მოახდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გადაზიდვა. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ა. თ-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვაზე.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის I მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. თ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წლით, 9 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა -უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით, 4 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები უნდა შეიკრიბოს და საბოლოოდ ა. თ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 15 წლით, 10 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. თ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ა. თ-ს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვაზე.

"ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის I მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. თ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წლით, 9 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა -გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით, 4 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ა. თ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის I და იმავე მუხლის II ნაწილებით განესაზღვროს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული და "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის I მუხლის საფუძველზე განახევრებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -2 წლით, 4 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა და ა. თ-ს, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 15 წლით, 10 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვა

განჩინება

#963-აპ-09

28 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 ივნისის განაჩენით გ. კ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეხამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 20 თებერვლიდან

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს მოქალაქემ, თბილისში, ... ქუჩის #...-ში მცხოვრებმა გ. კ-მ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0, 6572 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის" შემცველი 86 აბი და აბის ნატეხი.

2009 წლის 20 თებერვალს, 18.15 საათზე საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, ... ქუჩის #...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს გ. კ-ე, რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა 0, 0221 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის" შემცველი ორი აბი და აბის ორი ნატეხი, ხოლო გ. კ-ს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 0,6351 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის" შემცველი 84 აბი და აბის 4 ნატეხი.

ამდენად, გ. კ-ს პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 0,6572 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის" შემცველი 86 აბი და აბის 6 ნატეხი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. კ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: განაჩენიდან ამოირიცხოს ფორმულირება, რომ გ. კ-მ ნარკოტიკული ნივთიერება შეიძინა შემდგომი გასაღების მიზნით; მას განესაზღვროს სამართლიანი სასჯელი, რომელიც მიახლოებული იქნება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სანქციის მინიმუმთან.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულ გ. კობერიძის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების -ლ. ტ-ს, რ. ა-ს, ზ. გ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ გ. კ-ს მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. კ-ს ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის არსებობა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელ განაჩენში დადასტურებულად მიიჩნია გ. კ-ს მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში გასაღების მიზნის არსებობა და არ გაიზიარა მსჯავრდებულის განმარტება, რომ თითქოს "სუბოტექსის" 86 აბი მას აჩუქა ვინმე უცხო პიროვნებამ. ამასთან, განაჩენში აღნიშნულის დასადასტურებლად დაეყრდნო მოწმეების -შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების -ლ. ტ-ს, რ. ა-ს მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომ ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გ. კ-ე ეწეოდა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვას შემდგომი გასაღების მიზნით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიაჩნებდა გასაღების მიზანზე. ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია ამის დამადასტურებელი მტკიცებულება და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ ისინი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს ჰქონდა "სუბოტექსის" 86 აბი, არ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ გ. კ-მ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა შემდგომი გასაღების მიზნით.

საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ეყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულ გ. კ-ს ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის არსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. კ-ს განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით უკანონოდ შეძენასა და შენახვაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. კ-ს განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით უკანონოდ შეძენასა და შენახვაზე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვა

განჩინება

#1021-აპ-09

28 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ვ. როინიშვილი,
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 მაისის განაჩენით:

გ. მ-ს წარდგენილი ბრალდებიდან მოეხსნა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გადაზიდვის ბრალდება.

გ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 26 დეკემბრიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით -საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი -გ. მ-ს ბინის ჩხრევისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინი", წონით 0,0323 გრამი, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საცავში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს; საქმეზე დართული ნივთმტკიცება, თანხა -1400 ლარი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხოლო ნივთმტკიცება -DVD დისკი შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის დროით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. მ-მ 2008 წლის დეკემბერში, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით -7 აბი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“, რომელსაც უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

2008 წლის 23 დეკემბერს, ძიებით დაუდგენელ საათსა და ვითარებაში, გ. მ-მ უკანონოდ შექმნილი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინიდან" ერთი აბი 400 ლარად, უკანონოდ გაასაღა ქ. რუსთავში, ... გამზირის 8-54-ში მცხოვრებ მ. ბ-ზე, ხოლო დარჩენილ ნაწილს კი უკანონოდ ინახავდა თავისი საცხოვრებელი ბინის მისაღებ ოთახში.

2008 წლის 26 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სამმართველოში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გ. მ-ს საცხოვრებელ ბინაში გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდა ჩხრევა, რა დროსაც მისი საცხოვრებელი ბინის მისაღები ოთახიდან ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით, 0,0323 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი".

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. მ-ს წარდგენილი ბრალდებიდან მოეხსნა ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

გ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით შექმნა, შენახვა) და მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 26 დეკემბრიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის,

სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი -გ. მ-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინი", წონით 0,0323 გრამი, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საცავში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს; საქმეზე დართული ნივთმტკიცება, თანხა -1400 ლარი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხოლო ნივთმტკიცება -DVD დისკი შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის დროით.

მსჯავრდებული გ. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ პირველადია სამართალში, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; არის ავადმყოფი; კმაყოფაზე ჰყავს მოხუცი მამა, ასევე მეუღლე და შვილი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულ გ. მ-ს აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების -ს. მ-ს, ზ. ა-ს, მ. ბ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ გ. მ-ს მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვის ფაქტი, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ შეფარდებული სასჯელი არის მკაცრი და შესაძლებელია მისი შემსუბუქება, პალატა არ ეთანხმება და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, გ. მ-ს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ გ. მ-ს შემცირდა ბრალდების მოცულობა -მას წარდგენილი ბრალდებიდან მოეხსნა ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა, საქმის მასალებით კი არ დასტურდება მის მიერ თანხის -1400 ლარის დანაშაულებრივი გზით შექმნის ფაქტი -საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე დართული ნივთმტკიცება, თანხა -1400 ლარი უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულ გ. მ-ს ოჯახის წევრებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ფულადი თანხის -1400 ლარის სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

საქმეზე დართული ნივთმტკიცება, ფულადი თანხა -1400 ლარი დაუბრუნდეს მსჯავრდებულ გ. მ-ს ოჯახის წევრებს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმენა, შენახვა

განჩინება

#73-აპ-10

17 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ა-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. დ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 სექტემბრის განაჩენით გ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ა-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 23 აპრილიდან.

განაჩენით გ. ა-ს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმენა, შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ა-ვმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა 24,2835 გრამი -განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2009 წლის 23 აპრილს საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ქ. თბილისში, ვ. გ-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს გ. ა-ი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს მოთეთრო-მოყვითალო ფერის ნივთიერება ფხვნილისა და გრანულების სახით. ამოღებული ნივთიერება ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალებას - „ჰეროინის“ შემცველ ფხვნილსა და გრანულებს, რომლებშიც „ჰეროინის“ წონა შეადგენს - 24,2835 გრამს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ გ. ა-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა -გ. დ-ამ და პ. ჯ-ამ.

აპელანტები ითხოვდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და გ. ა-ის გამართლებას, რის საფუძვლადაც უთითებდნენ, რომ საქმეში არ მოიპოვება ბრალის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა და განაჩენს საფუძვლად უდევს მხოლოდ იმ ორი მოწმის ჩვენებები, რომლებიც შს სამინისტროს ოპერატიული სამსახურის მუშაკები არიან და მათი ჩვენებები, სხვა დამატებითი და უტყუარი მტკიცებულებების გარეშე, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ა-ვმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. დ-ამ საკასაციო საჩივრით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება იმ მოტივით, რომ როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიება ჩატარდა არასრულად და ცალხმრივად; განაჩენს საფუძვლად უნდა დადებოდა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა. კონკრეტულ შემთხვევაში კი მსჯავრდებულის ბრალეულობა დადასტურებულია მხოლოდ

ორი მოწმის, შს სამინისტროს თანამშრომლების -ე. ნ-ისა და ი. ჯ-ის ჩვენებებით, რის გამოც მარტო მათი ჩვენებები არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების -ე. ნ-ის, ი. ჯ-ის ჩვენებებით, ეჭვიტანილის სახით დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით გ. ა-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ გასაღების მიზნის არსებობის გარდა, დადასტურებულია.

პალატა ვერ გაიზიარებს სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ გ. ა-ევს, რომელიც არ არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ესაჭიროებოდა არა პირადი მოხმარებისათვის, არამედ -მისი შემდგომი გასაღებისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების მიზანზე. ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი მტკიცებულება და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ ისინი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს აღმოაჩნდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, არ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ გ. ა-ვმა ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა შემდგომი გასაღების მიზნით.

საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გ. ა-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის არსებობის ფაქტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენში გ. ა-ის მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ გ. ა-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ა-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. დ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენი გ. ა-ის მიმართ შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ გ. ა-ს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობა
განჩინება**

#86-აპ-10

31 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის განაჩენით თ. მ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თ. მ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა –სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში –საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 19 მარტიდან.

განაჩენით თ. მ-ს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვასა და გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

თ. მ-მა გამოიყენა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, რის შემდეგაც განიზრახა ხსენებული ნარკოტიკული საშუალების გასაღება სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ პირზე, ა. ა-ზე. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. მ-მა „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი დააფასოვა პოლიეთილენის სამ მცირე პაკეტში და მოათავსა ქათმის ხორცის ძვლებში, რაც შეინახა სასჯელადსრულების დეპარტამენტის #7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრის –ა. ა-სათვის გადასაცემ ამანათში.

2009 წლის 19 მარტს, დაახლოებით 16 საათზე, თ. მ-ი გამოცხადდა სასჯელადსრულების დეპარტამენტის #7 დაწესებულების საამანათო განყოფილებაში. მან წარადგინა ამანათი, რომელიც უნდა გადაეცათ ამავე დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულისათვის –ა. ა-სათვის და შეავსო წერილობითი განცხადება, რომლითაც დაადასტურა, რომ მის მიერ წარმოდგენილ ამანათში არ იყო აკრძალული საგნები, ნივთები (მათ შორის –ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებები). თ. მ-ი როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად გაფრთხილებული იყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ.

შემოწმების შედეგად თ. მ-ის მიერ წარდგენილ ამანათში, კერძოდ, ქათმის ხორცის ძვლებში აღმოჩნდა სამი მცირე ზომის ფუთა, რომელშიც მოთავსებული იყო საექვო ნივთიერება. საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტის დასკვნის თანახმად, ზემოხსენებული ნივთიერება წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ შემცველ ფხვნილსა და გრანულებს, რომლებშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საერთო წონა შეადგენს –0,6239 გრამს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. მ-მა, რომელმაც სააპელაციო საჩივრით ითხოვა გამართლება იმ მოტივით, რომ ქსნის სასჯელადსრულების დაწესებულებაში ამანათის შესაგზავნად განაცხადის შევსებისას მან არ იცოდა, რომ თვითონ იყო ამანათზე პასუხისმგებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა თ. მ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

თ. მ-ი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას, ვინაიდან მან არ იცოდა, რომ ამანათში მოთავსებული იყო ნარკოტიკული საშუალება და არც ის იცოდა, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებაში ამანათის შესაგზავნად განაცხადის შევსებისას თვითონ იქნებოდა ამანათზე პასუხისმგებელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების -თ. თ-ის, მ. გ-ის, გ. ლ-ის, ზ. ს-ას ჩვენებით, ამოღების ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით თ. მ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ თ. მ-ის მხრიდან სახეზეა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ პირზე ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობა და არა - გასაღება. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თ. მ-ს სასჯელადსრულების დეპარტამენტის #7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის კონტროლიორების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად ამანათში აღმოაჩნდა საეჭვო ნივთიერება, რის შემდეგაც იგი ადგილზევე დააკავეს. ხსენებულიდან გამომდინარე, თ. მ-ს დანაშაულებრივი განზრახვა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის განაჩენში თ. მ-ის მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ თ. მ-ის ქმედება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის მე-19, 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე.

მსჯავრდებულ თ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის მე-19, 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით საბოლოოდ უნდა განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

თ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ თ. მ-ის ქმედება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის მე-19, 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე.

მსჯავრდებულ თ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის მე-19, 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა ჩადენილი არაერთგზის
განჩინება**

#937-აპ-09

4 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. თ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების -ლ. კ-სა და ვ. გ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განაჩენით დ. თ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით -7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით -11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დ. თ-ს მიმართ დანიშნული პირობითი სასჯელი და აღსრულდა განაჩენით დანიშნული სასჯელის -5 წლით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი -4 წელი, 10 თვე და 6 დღე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს -18 წლით თავისუფლების აღკვეთას -დაემატა წინა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წელი, 10 თვე, 6 დღე და საბოლოოდ დ. თ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 22 წლით, 10 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 28 დეკემბრიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ნარკოტიკული საშუალება „კანაფის ფისი“, 0,1216 გრამის ოდენობით, საერთო წონით -1,15 გრამი ფხვნილი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს; „საგემის“ ფირმის მობილური ტელეფონი, მასში მოთავსებული „ჯეოსელის“ სიმბარათით და „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, მასში მოთავსებული „მაგთიკომის“ ორი სიმბარათით, საქართველოს მოქალაქის პასპორტი და სამგზავრო ბილეთი, გაცემული დ. თ-ს სახელზე, უნდა დაუბრუნდეს დ. თ-ს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 10 წლით -საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ დ. თ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

დ. თ-ა რუსთავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩათვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად ამისა, გამოსაცდელი ვადის გასვლამდე, 2008 წლის დეკემბერში, მან დაუდგენელ ვითარებაში ... რესპუბლიკაში უკანონოდ შეიძინა 0,1216 გრამი ნარკოტიკული საშუალება - „კანაფის ფისის“ შემცველი მომწვანო-მოყავისფრო 1,15 გრამი მყარი ნივთიერება, რაც ასევე უკანონოდ შეინახა. 2008 წლის 28 დეკემბერს თ-ა ... რესპუბლიკიდან გამოემგზავრა საქართველოში და თან წამოიღო მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული დასახელებული ნარკოტიკული საშუალება. ... სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტ „...“ გავლით მან გადმოკვეთა ... სახელმწიფო საზღვარი და საქართველოში უკანონოდ შემოიტანა მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული 0,1216 გრამი ნარკოტიკული საშუალება - „კანაფის ფისის“ შემცველი მომწვანო-მოყავისფრო 1,15 გრამი მყარი ნივთიერება,

რომელიც 2008 წლის 28 დეკემბერს სარფის სასაზღვრო-საკონტროლო გამშვებ პუნქტში დ. თ-ს დაკავებისას ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად, ქურთუკის ზედა, მარცხენა ჯიბიდან იქნა ამოღებული.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააკლავო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ დ. თ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და დ. თ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; საქმეში არსებული მასალები და ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება ერთმანეთს; მართალია, წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დ. თ-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი ცნო დამნაშავედ მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში, მაგრამ ეს განპირობებული იყო იმით, რომ მას ბრალდების მხარე ჰპირდებოდა საპროცესო შეთანხმების დადებას, ხოლო ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო წარდგენილ ბრალდებაში მან თავი თავიდანვე არ ცნო დამნაშავედ. დ. თ-ს კიდევაც რომ ჩაედინა დანაშაული, მისი ქმედება არასწორადაა დაკვალიფიცირებული. საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლი თავისთავად მოიცავს 260-ე მუხლს.

მსჯავრდებულ დ. თ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. გ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას, იგი ითხოვს, რომ დ. თ-ს მოეხსნას შერაცხული დანაშაული. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო; განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ და საქმეში არარსებულ მტკიცებულებებს; წინასწარ გამოძიება და სასამართლო განხილვა ცალმხრივადაა ჩატარებული, რადგან არ არის დადგენილი დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება დ. თ-სა და მისი ადვოკატების -ლ. კ-სა და ვ. გ-ს მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ დ. თ-ს თაობაზე მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ უსაფუძვლოდის გამო.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: მსჯავრდებულ დ. თ-ს ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების -ე. მ-ს, ლ. რ-ს, პ. ქ-ს, გ. ს-ს ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური გამოკვლევის 2008 წლის 29 დეკემბრის #3463194 დასკვნით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით დ. თ-ს მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებების ჩადენა დადასტურებულია, კერძოდ:

მოწმე ე. მ-ს ჩვენებებით, იგი არის საქართველოს შსს ... სამხარეო მთავარი სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელი. 2008 წლის 28 დეკემბერს მათ სამმართველოში შევიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ ... რაიონის სოფ. ... მცხოვრებ დ. თ-ს, ზ. ც-სა და გ. ჯ-სთან ერთად, ... რესპუბლიკიდან საქართველოში უნდა შემოეტანა ნარკოტიკული საშუალება, რის გამოც შედგა ოპერატიული ჯგუფი და გაემგზავრნენ ... რაიონის სოფ. ..., ... სახელმწიფო საზღვარზე, რათა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე განეხორციელებინათ თვალთვალი დ. თ-ზე. საქართველოში შემოსვლისთანავე თ-ს მოექცა მისი თვალთახედვის არეში და თვალყურს ადევნებდა მის თითოეულ მოქმედებას. თ.ა., მას შემდეგ, რაც გაიარა საპასპორტო კონტროლი და გადმოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, გაჩერდა და დაელოდა მეგობრების გადმოსვლას. დაახლოებით 15 წუთში სამივე მათგანი უკვე გადმოსული იყო საქართველოში. მათ გადმოსვლამდე თ-ს არავისთან ჰქონია კავშირი, არსად მისულა, იდგა ერთ ადგილას და ელოდებოდა მეგობრების გადმოსვლას. როდესაც სამივე მათგანი გაემართა დაახლოებით 10 მეტრში მდგარი ა/მანქანისკენ და სხდებოდნენ შიგ, მოხდა მათი დაკავება, რის შემდეგ საკონტროლო-გამშვები პუნქტის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა მათი პირადი ჩხრეკა. ჩხრეკის დაწყებამდე გამომძიებელმა დაკავებულებს განუმარტა უფლებები, მისცა წინადადება ნებაყოფლობით წარმოედგინათ, თუ რამე ჰქონდათ კანონსაწინააღმდეგო, რაზეც მათ განაცხადეს, რომ ასეთი არაფერი გააჩნდათ, მაგრამ ჩხრეკის შედეგად თ-ს ქურთუკის ჯიბიდან ამოღებულ საფულეში აღმოჩენილ იქნა პოლიეთილენის პარკში შეხვეული მოყავისფრო ნივთიერება, რაზეც თ-მ მაშინვე განაცხადა, რომ ეს იყო ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომელიც შეიძინა ... რესპუბლიკაში. მოწმე მ-მ გამორიცხა ის გარემოება, რომ, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლის შემდეგ თ-ს მივიდა იქვე, ახლოს მდებარე ჯიბურთან და რაღაც გამოიღო მისი ქვეშიდან. მოწმემ განმარტა, რომ მსგავსი შემთხვევა

არ მომხდარა და რომ მომხდარიყო ასეთი, აუცილებლად დაინახავდა, რადგან სულ რამდენიმე მეტრში იდგა თ-სგან და მისი არც ერთი ნაბიჯი არ გამოჰპარვია.

მოწმე ლ. რ-ს ჩვენებებით, იგი არის საქართველოს შსს ... სამხარეო მთავარი სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელი. 2008 წლის 28 დეკემბერს შემოსული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ოპერატიულ ჯგუფთან ერთად გაემგზავრა ... რაიონის სოფელ ..., კერძოდ, .. საბაჟო-გამშვებ პუნქტთან და ელოდებოდა .. რეკუბლიკაში მყოფების: დ. თ-ს, გ. ჯ-სა და ზ. ც-ს გადმოსვლას, რომლებსაც, ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, უნდა შემოეტანათ ნარკოტიკული საშუალება. პირველად საკონტროლო პუნქტი გამოიარა დ. თ-მ, შემოსასვლელი კარიდან დაახლოებით 5 მეტრში გაჩერდა და დაელოდა სხვების გადმოსვლას. თ-ს არავისთან ჰქონია კონტაქტი, არსად, მათ შორის არანაირ ჯიხურთან არ მისულა, იდგა და ელოდა ჯ-სა და ც-ს გადმოსვლას. დაახლოებით 15-20 წუთში ეს უკანასკნელებიც გადმოვიდნენ და სამივენი წავიდნენ მანქანისაკენ, რომელიც მათგან დაახლოებით 10-15 მეტრში იდგა. ჩასხდომის მომენტში ისინი დააკაკავეს ოპერატიული ჯგუფის წევრებმა, რის შემდეგ გადაიყვანეს საბაჟო პუნქტის ადმინისტრაციულ შენობაში. გამომძიებლის მიერ მათ განემართათ უფლებები და ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც დ. თ-ს კუთვნილი საფულიდან იქნა ამოღებული რაღაც ყავისფერი ნივთიერება, რომელზეც მან განაცხადა, რომ ეს იყო მის მიერ ... რესპუბლიკაში შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“. ც-სა და ჯ-ს პირადი ჩხრეკისას რაიმე კანონსაწინააღმდეგო ამოღებული არ ყოფილა.

მოწმე ჰ. ქ-ს ჩვენებებით, იგი, როგორც ოპერატიული ჯგუფის წევრი, ასევე მონაწილეობდა დ. თ-სა და მისი მეგობრების მიმართ განხორციელებულ თვალთვალში, დაკავებასა და პირად ჩხრეკაში. სასამართლო გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში განმარტა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე, თოლორდავა, რომელიც პირველი გადმოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, მოექცა მისი თვალთახედვის არეში და ხედავდა მის ყოველ მოძრაობას. გადმოსვლისთანავე თოლორდავა გაჩერდა საბაჟოს კართან ახლოს და ელოდა დანარჩენებს. დ. თ-ს დაკავება მაშინვე არ მოხდა, რადგან ცნობილი იყო, რომ მასთან ერთად ... იმყოფებოდნენ ჯ-ე და ც-ც. შეიძლებოდა მასთან კონტაქტზე გამოსულიყო სხვა პირიც. თ-ა არავის შეხვედრია, არავის დალაპარაკებია და არც არსად მისულა, მათ შორის არც ჯიხურთან. თ-ს გადმოსვლის შემდეგ, დაახლოებით 7-8 წუთში, გადმოვიდა ჯ-ე, რომლის შემდეგ, უფრო მცირე დროში, გადმოვიდა ც-ე და სამივე ერთად აპირებდა რა საბაჟოსთან მდგარ ავტომანქანაში ჩასხდომას, დააკავეს და რადგან ადგილზე ბევრი ხალხი ირეოდა, გადაიყვანეს საბაჟოს ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, როის შედეგადაც დ. თ-ს აღმოაჩნდა საფულეში მოთავსებული რაღაც ნივთიერება, რომელზეც მან თავად განაცხადა, რომ ეს იყო ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომელიც შეიძინა

მოწმე გ. ს-ს ჩვენებით, დ. თ-ა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე გაჩერდა საბაჟოს კართან, იგი არ მისულა არანაირ ჯიხურთან, იდგა ერთ ადგილას და ელოდებოდა დანარჩენებს.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლი თავისთავად მოიცავს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასაც, ვინაიდან საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა უცხო ქვეყნიდან წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ დანაშაულს, რომელსაც, მოცემულ შემთხვევაში წინ უსწრებდა მსჯავრდებულის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენა -ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, ამიტომ თუ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანას საქართველოში წინ უსწრებდა ამ ნივთიერების შექმნა-შენახვა, სამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით -საქართველოს სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლებით.

ამასთან, მსჯავრდებულ დ. თ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება არასწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული).

საქმის მასალების მიხედვით, დ. თ-ა 2007 წლის 7 დეკემბერს გასამართლებული იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით. მან გამოსაცდელი ვადის პერიოდში, 2008 წლის დეკემბრის თვეში, კვლავ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

განსახილველი დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (საქართველოს კანონის 2007 წლის 4 ივლისის

ცვლილება), არაერთგზისობა გულისხმობს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამავე კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს, თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა არა ამ მუხლით, არამედ -ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელიმე სხვა დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება -ამავე მუხლის მეორე ნაწილის "დ" ქვეპუნქტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. თ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მეორე ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და გადაზიდვა, ჩადენილი არაერთგზის).

ამავე დროს, ნარკოტიკული საშუალების სახეობისა და ოდენობის გათვალისწინებით, აგრეთვე იმის მხედველობაში მიღებით, რომ დ. თ-ს დაავადებულია ტუბერკულოზით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შესაძლებელია მის მიმართ სასჯელთა სრული შეკრების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2010 წლის 23 თებერვლის რედაქცია) ¹ ნაწილით დადგენილი სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების წესი. კერძოდ, სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დ. თ-სათვის დანიშნული სასჯელის -7 წლით თავისუფლების აღკვეთის -ნაწილი, თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, უნდა დაემატოს 262-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით სასამართლოს მიერ დ. თ-სათვის დანიშნულ სასჯელს -11 წლით თავისუფლების აღკვეთას და მას უნდა მიესაჯოს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წელი, 10 თვე, 6 დღე და საბოლოოდ დ. თ-ს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 20 წლით, 10 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ დ. თ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მეორე ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე.

მსჯავრდებულ დ. თ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის -7 წლით თავისუფლების აღკვეთის -ნაწილი, თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, დაემატოს 262-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს - 11 წლით თავისუფლების აღკვეთას, რის გამოც მსჯავრდებულ დ. თ-ს მიესაჯოს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წელი, 10 თვე, 6 დღე და საბოლოოდ დ. თ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 20 წლით, 10 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა მას დაეწყოს 2008 წლის 28 დეკემბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა

განჩინება

#102-აპ-10

2 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ნ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. გ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სენაკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 ივლისის განაჩენით გ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ე" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ნ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი, 2 თვე, 8 დღე და გ. ნ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით, 2 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 27 მარტიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ნივთმტკიცება – ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით 0,0419 გრამი, რომელიც ინახება სენაკის რაიონულ სამმართველოში, განადგურების მიზნით უნდა გადაეგზავნოს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ-ოპერატიულ დეპარტამენტს; გ. ნ-საგან ამოღებული სპორტული ქურთუკი, სპორტული შარვალი, აგრეთვე შავი ფერის ჟილეტი და შავი ფერის მაისური უნდა დაუბრუნდეს გ. ნ-ს ოჯახს.

განაჩენით გ. ნ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქ. თბილისში, ... ქ. #...-ში მცხოვრები, ... წლის ... ივლისს დაბადებული გ. ნ-ი 2008 წლის 24 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, მას 1 წელი, 9 თვე და 22 დღე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის სახით, როგორც რეალური სასჯელი, ხოლო 2 წელი, 2 თვე და 8 დღე, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახედ შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. გ. ნ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული რეალური სასჯელი ჩათვალა ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადაში და 2008 წლის 24 აპრილს სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა პატიმრობიდან.

პირობით მსჯავრდებულმა გ. ნ-მ კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული. იგი 2009 წლის 25 იანვარს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს VII განყოფილების მიერ მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, გასაღებისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 273-ე მუხლით, რის შემდეგაც, 2009 წლის 5 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით დაუსწრებლად შეუფარდა დაპატიმრება და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

მებნილმა გ. ნ-მ კვლავ განაგრძო დანაშაულებრივი საქმიანობა, კერძოდ, მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა 0,0519 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რასაც უკანონოდ ინახავდა ... რაიონის სოფელ ... მცხოვრებ შ. კ-ს საცხოვრებელ სახლში.

2009 წლის 27 მარტს, 7 საათსა და 40 წუთზე, ... რაიონის სოფელ ... მცხოვრებ შ. კ-ს საცხოვრებელ სახლში ეჭმიტანილის სახით დააკავეს გ. ნ-ი, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი სპორტული ქურთუკის გარეთა, მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ერთ „ბაშად“ დაფასობული, ქაღალდში შეხვეული, მორუხო ფერის ფხვნილისებური ნივთიერება. ქიმიური ექსპერტიზის #68/სქ დასკვნის თანახმად, გ. ნ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული, მორუხო ფერის ფხვნილისებური ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, რომლის წონა შეადგენს 0,0519 გრამს.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. ნ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. გ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გ. ნ-ს გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; განაჩენში ჩამოყალიბებული არგუმენტაცია არსებითად ეწინააღმდეგება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებთან. მოცემულ საქმეზე გ. ნ-ს მიმართ არ არსებობს არც პირდაპირი და არც ირიბი მტკიცებულება, არსებითი წინააღმდეგობაა მოწმეთა ჩვენებებს შორის; არასწორია დანაშაულის კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით; აღნიშნულ საქმეზე ჯერ საერთოდ არ არსებობს განაჩენი, მითუმეტეს, იგი არ არის კანონიერ ძალაში შესული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ გ. ნ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით: მოწმეების -მ. გ-ს, პ. ჭ-ს, კ. ხ-ს, ა. ბ-ს, მ. ჯ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და სხვა მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, მსჯავრდებულ გ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება არასწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული).

გასაჩივრებული განაჩენით, გ. ნ-ი 2008 წლის 24 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, მას 1 წელი, 9 თვე და 22 დღე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის სახით, როგორც რეალური სასჯელი, ხოლო 2 წელი, 2 თვე და 8 დღე, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მას თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული რეალური სასჯელი ჩაეთვალა ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადაში და 2008 წლის 24 აპრილს სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა პატიმრობიდან. პირობით მსჯავრდებულმა გ. ნ-მ კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული. იგი 2009 წლის 25 იანვარს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს VII განყოფილების მიერ მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღებისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 273-ე მუხლით, რის შემდეგაც, 2009 წლის 5 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას დაუსწრებლად აღკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდა დაპატიმრება და მის მიმართ გამოცხადდა მებნა. მებნის პერიოდში გ. ნ-მ ჩაიდინა ამჟამად განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული), თუ პირი ადრე მსჯავრდებული იყო არა ამ მუხლით, არამედ კოდექსის ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელიმე სხვა დანაშაულისათვის, რაზეც ნასამართლობა არ არის მოხსნილი ან გაქარწყლებული.

მართალია, მსჯავრდებულ გ. ნ-ს მიმართ გამოტანილი იყო დადგენილება ბრალდებულის სახით მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 273-ე მუხლით, მაგრამ იგი არც ამ დანაშაულის და არც კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე სხვა დანაშაულისათვის არ ყოფილა გასამართლებული, რაც აუცილებელი პირობაა ქმედების საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით მე-2 ნაწილის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით კვალიფიკაციისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ გ. ნ-ს უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით შერაცხული მსჯავრი.

რაც შეეხება სასჯელს, სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, გ. ნ-ს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. ნ-ს განაჩენიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით შერაცხული მსჯავრი.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულ გ. ნ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა

განჩინება

#359-აპ-10

28 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. დ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის განაჩენით მ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით მას დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. დ-ეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით -საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, საექიმო საქმიანობის, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 9 აგვისტოდან.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, მ. დ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა ფულადი თანხა -400 აშშ დოლარი და 860 ლარი.

მ. დ-ეს განაჩენით მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა, გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. დ-ემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინი", წონით -0,040 გრამი, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა. 2009 წლის 5 აგვისტოს ზემოაღნიშნული ნარკოტიკული საშუალების ნაწილი -0,024 გრამი, მ. დ-ემ თავისივე საცხოვრებელ სახლთან ახლოს უკანონოდ გაასაღა ჯ. ო-ზე, ხოლო დარჩენილი ნარკოტიკული საშუალება -0,016 გრამი კვლავ უკანონოდ შეინახა თავის საცხოვრებელ სახლში. მითითებული ნარკოტიკი 2009 წლის 9 აგვისტოს სამართალდამცავებმა მის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. დ-ემ.

აპელანტმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება, მისი უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. დ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება, ასევე, უკანონოდ ჩამორთმეული ფულადი თანხის -400 აშშ დოლარისა და 860 ლარის ოჯახისთვის დაბრუნება.

სამტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ მ. დ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებისა და მისი გამართლების შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

მსჯავრდებულის ექვმიტანილის დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ მ. დ-ის აწ გარდაცვლილი მეუღლის საწოლის ლეიბის ქვემოდან სამართალდამცველებმა ამოიღეს პოლიეთილენის პარკში მოთავსებული ორი აბი "სუბოტექსი", რომელსაც ტკივილის გასაყუჩებლად გარდაცვალებამდე იღებდა მისი მეუღლე. მსჯავრდებულის განმარტებით, მან არც კი იცოდა, ეს რა აბები იყო. ამ ჩვენების მიცემა პალატის აზრით, გამოწვეული იყო პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან აღნიშნული არ დასტურდება საქმის მასალებით.

პალატას მიაჩნია, რომ როგორც რაიონულმა, ისე სააპელაციო სასამართლოებმა სწორად შეაფასეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვის ნაწილში და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს მ. დ-ის მიერ ჩადენილ ქმედებას. რაც შეეხება სასჯელს, სასამართლოებმა სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინეს მ. დ-ის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და განუსაზღვრეს სასჯელის ისეთი ზომა, რომელსაც პალატა ეთანხმება და თვლის, რომ არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების -საქართველოს შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების -რ. ბ-ისა და ი. ბ-ის ჩვენებებით, მოწმე ჯ. ო-ის ჩვენებით, დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებით, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებით, საქართველოს შსს-ს აჭარის ა/რ-ის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით მ. დ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მ. დ-ის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით -ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში -ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის -საქართველოს შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების -რ. ბ-ისა და ი. ბ-ის ჩვენებებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ 2009 წლის 9 აგვისტოს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გატარებული სამძებრო-საგამომძიებო მოქმედებების შედეგად ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხში ჩატარდა მ. დ-ის საცხოვრებელი სახლის

ჩხრეკა. სამართალდამცავებმა ჩხრეკისას აღნიშნული სახლის მეორე სართულზე არსებულ საძინებელ ოთახში განთავსებული საწოლის ლეიბის ქვემოდან ამოიღეს პოლიეთილენის პატარა ზომის პაკეტი შიგ არსებული ორი ცალი თეთრი ფერის აბით, წარწერით: "სუბოტექსი". მეორე საძინებელ ოთახში არსებული რკინის სეიფიდან ამოღებულ იქნა ფულადი თანხა -400 აშშ დოლარი და 860 ლარი.

მოცემულ საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ ჯ. ო-ის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მას 2009 წლის 9 აგვისტომდე, კერძოდ, ერთი თვით ადრე, ურთიერთობა ჰქონდა მ. დ-სთან, რომლისგანაც იძენდა ნარკოტიკულ საშუალებას "სუბოტექსი", თითოეულ აბს -300-320 ლარად. ხოლო მას შემდეგ, რაც მ. დ-ე წავიდა ნაოსნობაში, ნარკოტიკულ საშუალებას იგი იძენდა მ. დ-საგან, რომელთანაც არ ჰქონდა სატელეფონო კავშირი და უშუალოდ მიდიოდა მასთან სახლში ნარკოტიკული საშუალების შესაძენად. სასამართლო გამოძიებისას კი მან შეცვალა ჩვენება და აღნიშნა, რომ იგი მ. დ-ეს არ იცნობდა და მასთან არანაირი შეხება არ ჰქონია. ასევე განაცხადა, რომ მსჯავრდებულისაგან ნარკოტიკულ საშუალებას იღებდა საზღაურის გადახდის გარეშე. მიცემულ ჩვენებაში მან განაცხადა: "ნარკოტიკი მ. დ-საგან შევიძინე ერთხელ, ფული არ გადამიხდია, მე მისთვის საჩუქარი უნდა მიმეტანა, შეიძლება არც კი მიმეტანა საჩუქარი და "გადამეგდო" კი-დეც".

აღნიშნული განცხადება არსებითად ეწინააღმდეგება წინასწარ გამოძიებაში მის მიერ მიცემულ ჩვენებას, ასევე, გაურკვეველია, თუ კონკრეტულად სად ხვდებოდა ო-ე დ-ეს, ვინაიდან წინასწარ გამოძიებაში დაკითხვისას ო-ე უთითებს, რომ ნარკოტიკების შესაძენად იგი სახლში მიდიოდა მ. დ-სთან, ხოლო სასამართლო გამოძიებისას ნარკოტიკების შეძენის ადგილად მიუთითა სხვადასხვა ტერიტორია.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მ. დ-ის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, არც რაიონულმა და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებ სარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მ. დ-ე არის ნარკოტიკების გამსაღებელი. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

რაც შეეხება საქართველოს სსსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად მ. დ-სთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულადი თანხის -400 აშშ დოლარისა და 860 ლარის ჩამორთმევას, პალატის აზრით, არასწორია, რადგან როგორც თბილისის საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ საქართველოს სსსკ-ის 52-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას“. იმავე მუხლის III ნაწილის საფუძველზე კი: „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ხდება იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული“, რასაც, პალატის აზრით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

სასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში მ. დ-ემ აღნიშნა, რომ ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული თანხა იყო მისი, რომელიც მას მორჩენილი ჰქონდა ერთი თვის წინ -5000 აშშ დოლარად გაყიდული მიწის ნაკვეთიდან.

ამდენად, მ. დ-სათვის ჩამორთმეული ფულადი თანხა -400 აშშ დოლარი და 860 ლარი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად, ამიტომ მისი ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ საკასაციო პალატას არასწორად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მ. დ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით -ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ამასთან, მ. დ-ეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მ. დ-ეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება სახელმწიფოს სასარგებლოდ თანხის -400 აშშ დოლარისა და 860 ლარის ჩამორთმევის თაობაზე და აღნიშნული თანხა უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულს. განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მ. დ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით -ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

მ. დ-ეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მ. დ-ეს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულადი თანხის -400 აშშ დოლარისა და 860 ლარის ჩამორთმევის თაობაზე და აღნიშნული თანხა დაუბრუნდეს მსჯავრდებულს.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.